

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი #27

ქ. თბილისი

2023 წელი, 20 თებერვალი, 16:00 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:**

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, ოთარ გრიგოლია, ნიკოლოზ კახეთელიძე, ზურაბ აბაშიძე, გივი ჩხარტიშვილი, მიხეილ კაკაურიძე, კონსტანტინე ზარნაძე, ლილე ლიპარტელიანი, მიხეილ კაკაურიძე, საბა ბუაძე, მამუკა გუგუშაშვილი, ნინო წულაძე

**სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი:** ზაზა თავაძე (03-032305123 – 20/02/2023)

**სხდომის თავმჯდომარე:** რევაზ სოხაძე

**სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:**

**ვლადიმერ ჭილაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი

**გაიოზ თალაკვაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი

**მარიამ კვერნაძე** - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე

**ნინო ბაგაშვილი** - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე

**ოთარ ჩიტაძე** - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე

**ლევან ჟორჯოლიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

№	ს ა კ ი თ ხ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა
1.	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით მაქაცარიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ (საკრებულოს №12-03230472-03 - 16.02.2023)
2.	"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (საკრებულოს №12-03230451-03 - 14.02.2023)

3.	<p>ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „გრანდ თაურს“ (ს/ნ. 405269891) შორის 2021 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული „ქ. თბილისში, იოანე პეტრიწის ქუჩის ბოლოს მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, №01.10.06.001.263 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2010 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „გრანდ თაურის“ (ს/ნ. 405269891) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე(საკრებულოს №12-03230376-03 06.02.2023)</p>
4.	<p>ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „ჰორვატს“ (ს/ნ. 405349154) შორის 2021 წლის 24 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, მოწის ქუჩა №2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.14.01.008.045) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატისათვის“ (ს/კ. 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „ჰორვატის“ (ს/ნ. 405349154) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032304050-03 09.02.2023)</p>
5.	<p>„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032303956-03 08.02.2023; №12-032304038-03 09.02.2023; 12-03230475-03- 16.02.2023; №12-03230331-03 02.02.2023; 12-0322159119-03 - 08.06.2022 „გ“ პოზიცია; 12-0322187132-03 - 06.07.2022 „ი“ პოზიცია)</p>
6.	<p>ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N36-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.10.007.041) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032304039-03 09.02.2023)</p>
7.	<p>„ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მიკრორაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.02.009.032; N01.14.02.009.033) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N417 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032303351-03 02.02.2023)</p>

8.	<p>ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო უბანში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.14.08.010.019; №01.14.08.010.021; №01.14.08.010.041; №01.14.08.010.020; №01.14.08.010.043; №01.14.08.011.048; №01.14.08.011.054; №01.14.08.011.058) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის, დამტკიცების თაობაზე <b>(საკრებულოს №12-032303471-03 03.02.2023)</b></p>
9.	<p>"ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.035.161) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე <b>(საკრებულოს №12-0323044112-03 -13.02.2023)</b></p>
10.	<p>ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.19.572; №81.02.13.762; №81.02.19.158; №81.02.13.835; №81.02.13.551; №81.02.19.722; №81.02.19.135; №81.02.19.571; №81.02.96.930; №81.02.97.489; №81.02.96.605; №81.02.95.072; №81.02.19.569; №81.02.19.157) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე <b>(საკრებულოს №12-0323044111-03 -13.02.2023)</b></p>
11.	<p>„ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქუჩა N34-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში ოქროყანის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.01.004.314; N01.18.01.002.264) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ <b>(საკრებულოს №12-0323044104-03 -13.02.2023)</b></p>
12.	<p>ქალაქ თბილისში, გლდანის საცხოვრებელ რაიონში, საზოგადოებრივი ცენტრის ტერიტორიაზე V და VI მიკრორაიონებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.10.007.001), მრავალფუნქციური კომპლექსის (სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, ავტოპარკინგი, სასტუმრო, რესტორანი) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 12 ივნისის N1205 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე <b>(საკრებულოს №12-032304749-03-16.12.2022)</b></p>
13.	<p>ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N72.16.23.160; N72.16.23.161; N72.16.23.162; N72.16.23.163; N72.16.23.164; N72.16.23.165; N72.16.23.334; N72.16.23.742) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე <b>(საკრებულოს №12-032304745-03 -16.12.2022)</b></p>

14.	ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: №81.02.02.989; №81.02.99.731; №81.02.02.351; №81.02.02.987; №81.02.02.988; №81.02.02.919; №81.02.02.918; №01.81.10.291.001; №01.81.10.291.003) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032304820-03 -17.12.2022)
15.	„ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი N71(ნაკვ.5/6), N71ა, მატროსოვის ქუჩა N7-ში მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.17.12.005.025; N01.17.12.005.008; N01.17.12.005.026; N01.17.12.005.024; N01.17.12.005.001; N 01.17.12.005.006; N01.17.12.005.011) და მიმდებარე უფლებადაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 ნოემბრის N351 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032304823-03 -17.12.2022)
16.	ქალაქ თბილისში, დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: №81.08.31.491) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი და სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე” (საკრებულოს №12-032235058-03 -16.12.2022)
17.	„შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და ფიზიკური პირის ირაკლი ნიკოლაიშვილის (პ/ნ 01030011710) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032304884-03- 17.02.2023)
18.	„შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „სოლუმ დეველოპმენტის“ (ს/ნ 405148086) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032304884-03- 17.02.2023)
19.	„შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „კარკასის“ (ს/კ 430029015) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032304884-03- 17.02.2023)

20.	„ქ. თბილისი, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზა, მუხრან მაჭავარიანის ქ. N18-ში (ს/კ N01.10.18.006.221 არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში, გაცემული მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში - ი.ბ.ა „ვაშლიჯვრის“ (ს/ნ 205394633) მიერ შესრულებული ვალდებულების დადასტურების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032304884-03- 17.02.2023)
21.	„შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და იბა „ც. დადიანი 2012“ -ის (ს/ნ: 202466848) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032304884-03- 17.02.2023)
22.	შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „აა2“-ის (ს/ნ 405141537) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032304884-03- 17.02.2023)

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა.

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით მაქაცარიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ (საკრებულოს №12-03230472-03 - 16.02.2023)

კანდიდატურა წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსმა ბატონმა ვალერი ჭილაძემ. მისივე განმარტებით კანდიდატი გამოირჩევა მაღალი კვალიფიკაციითა და პროფესიონალიზმით, შესაბამისად ის სავსებით შეესაბამება დასაკავებელ თანამდებობას.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

*საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, თბილისის საკრებულოს უფლებამოსილებას, ამ კანონით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების გარდა, აგრეთვე განეკუთვნება - „დადგენილი წესით თბილისის მთავრობის წევრის თანამდებობაზე დანიშვნაზე თანხმობის მიცემა“; ამავე კანონის 76-ე მუხლის, მე-2 პუნქტის შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, საკითხი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით*

*მაქაცარიას დანიშნაზე თანხმობის მიცემის შესახებ მომზადებულია და თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ უნდა იმსჯელოს უახლოეს სხდომაზე.*

2. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (საკრებულოს №12-03230451-03 - 14.02.2023)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება 2023 წლის 1 იანვრისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების (137 794,2 ათასი ლარი) გამოყენების და მიმდინარე წელს მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, იზრდება არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლები 5 000,0 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 142 794,2 ათასი ლარით და შეადგენს 1 774 926,8 ათას ლარს. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგებების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის: იზრდება გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები – 9 161,9 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) – 630,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება დიდუბის რაიონში (კოდი 01 01 10) – 199,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში (კოდი 01 01 15) - 500,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 01 01 17) - 300,0 ათასი ლარით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) - 6 000,0 ათასი ლარით, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) - 12 000,0 ათასი ლარით, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენარეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნებები - 537,5 ათასი ლარით, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) - 87,2 ათასი ლარით, საპროექტო-სამიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 100,0 ათასი ლარით, სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 02) - 738,3 ათასი ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) პროგრამის ასიგნებები - 2 257,9 ათასი ლარით, სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა (კოდი 02 06) - 153,2 ათასი ლარით, კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი 02 09 01) ქვეპროგრამის ასიგნებები – 133,0 ათასი ლარით, უკანონო ნაგებობების დემონტაჟი (კოდი 02 09 09) - 92,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) – 930,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) – 2 960,6 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) – 500,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 02 09 14) – 1 000,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) – 2 323,9 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 16) – 1 500,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) – 2 380,0 ათასი ლარით,

კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) – 1 600,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) – 700,0 ათასი ლარით, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ასიგნებები -16 052,1 ათასი ლარით, გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) – 23 698,4 ათასი ლარით, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) - 14000,0 ათასი ლარით, ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 02) ქვეპროგრამის ასიგნებები – 600,0 ათასი ლარით, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 04 08) პროგრამის ასიგნებები – 500,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 05 01 08) - 1 931,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში (კოდი 05 01 09) - 800,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში (კოდი 05 01 10) - 500,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 05 01 11) - 500,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში (კოდი 05 01 12) - 1 000,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში (კოდი 05 01 14) - 923,9 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში (კოდი 05 01 15) - 500,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში (კოდი 05 01 16) - 400,0 ათასი ლარით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) – 18 653,0 ათასი ლარით, პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა (კოდი 07 04) პროგრამის ასიგნებები – 350,0 ათასი ლარით, კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 05) – 500,0 ათასი ლარით, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (კოდი 08 06 03) ქვეპროგრამის ასიგნებები – 652,4 ათასი ლარით, სპორტული დაწესებულებების მატერიალურტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) – 12 483,4 ათასი ლარით, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) – 210,9 ათასი ლარით, თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრების ხელშეწყობა (კოდი 08 08 02) – 250,0 ათასი ლარი, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 08 11 03) – 200,0 ათასი ლარით, მერიის ადმინისტრაციის (კოდი 10 02) პროგრამის ასიგნებები - 2 014,6 ათასი ლარით, უსაფრთხოების საქალაქო სამსახური (კოდი 10 13) - 157,3 ათასი ლარით, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) – 142,8 ათასი ლარით, კრწანისის რაიონის გამგეობა (კოდი 10 35) – 200,0 ათასი ლარით. ამასთან, ბიუჯეტში ემატება ახალი პროგრამები: საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა (კოდი 08 10) – 500,0 ათასი ლარი, თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტი (კოდი 10 25) – 3 250,0 ათასი ლარი. მცირდება გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში (კოდი 01 01 09) ქვეპროგრამის ასიგნებები - 1 403,2 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ჩუღურეთის რაიონში (კოდი 01 01 11) – 109,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში (კოდი 01 01 12) - 120,0 ათასი ლარით, გზების მოვლაშეკეთება ისნის რაიონში (კოდი 01 01 14 ) - 100,0 ათასი ლარით, გზების მოვლაშეკეთება კრწანისის რაიონში (კოდი 01 01 16) - 120,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) – 75,1 ათასი ლარით, ავარიული სახლების ჩანაცვლება (კოდი 02 12) პროგრამის ასიგნებები - 1 300,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17) ქვეპროგრამის ასიგნებები - 167,8 ათასი ლარით, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა (კოდი 07 06 01) - 120,0 ათასი ლარით, მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KfW) (კოდი 10 23) პროგრამის ასიგნებები - 1 285,1 ათასი ლარით. ასევე, დაზუსტდა ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა, კერძოდ:

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (კოდი 10 18) მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 6 ერთეულით, საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა შემცირდა 1 ერთეულით. შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში განისაზღვრა 4065 ერთეულით. გარდა ამისა, ბიუჯეტის მარეგულირებელ ნორმებს დამატა 30-ე მუხლი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ფუნქციებისა და დაგეგმილი ღონისძიებების დაფინანსების შესახებ. ბ) პროექტის მიღებასთან დაკავშირებული საფინანსო - ეკონომიკური გაანგარიშება: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 637 132,6 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 137 794,2 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 577 032,6 ათასი ლარის ოდენობით, აქედან: გადასახადები 872 224,4 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 208 000,0 ათასი ლარი; ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 26 000,0 ათასი ლარი; მიწაზე ქონების გადასახადი – 16 000,0 ათასი ლარი; დამატებული ღირებულების გადასახადი – 622 224,4 ათასი ლარი. გრანტები 474 962,8 ათასი ლარი, მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 407,8 ათასი ლარი; მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 555,0 ათასი ლარი; კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი 440 000,0 ათასი ლარი; სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 34 000,0 ათასი ლარი. სხვა შემოსავლები 229 845,4 ათასი ლარი, მათ შორის: შემოსავალი საკუთრებიდან – 11 284,8 ათასი ლარი; სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 60 000,0 ათასი ლარი; მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 65 000,0 ათასი ლარი; სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 67 000,0 ათასი ლარი; სანებართვო მოსაკრებელი - 18 095,0 ათასი ლარი; სხვადასხვა შემოსავლები – 8 465,6 ათასი ლარი. წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 1 774 926,8 ათასი ლარით, მათ შორის: ხარჯები განსაზღვრულია - 1 310 124,8 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა – 422 586,5 ათასი ლარი; ვალდებულებების კლება – 42 215,5 ათასი ლარი. ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 266 907,8 ათასი ლარით. არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 362 586,5 ათას ლარს, მათ შორის: არაფინანსური აქტივების ზრდა – 422 586,5 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების კლება – 60 000,0 ათასი ლარი. ფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს ( 137 894,2 ) ათას ლარს, მათ შორის: ფინანსური აქტივების კლება – 137 894,2 ათასი ლარი, მათ შორის: ნაშთის ცვლილება - 137 794,2 ათასი ლარი. ვალდებულებების ცვლილება შეადგენს (42 215,5) ათას ლარს, მათ შორის: ვალდებულებების კლება 42 215,5 ათასი ლარი. ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა ( 95 678,7 ) ათასი ლარით.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

*შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია დადგენილების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.*

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „გრანდ თაუერს“ (ს/ნ. 405269891) შორის 2021 წლის 29



დეკემბერს გაფორმებული „ქ. თბილისში, იოანე პეტრიწის ქუჩის ბოლოს მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, №01.10.06.001.263 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2010 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „გრანდ თაურის“ (ს/ნ. 405269891) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-03230376-03 06.02.2023)

საკითხი წარმოადგინა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ. მისი თქმით, სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 09 მარტის №419 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 9 დეკემბრის №21.1641.1852 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 დეკემბრის №60 განკარგულებების საფუძველზე, განხორციელდა ყოფილი საბინაოსამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული კომპანიის - შპს „გრანდ თაურისთვის“ - ქ. თბილისში, იოანე პეტრიწის ქუჩის ბოლოს მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.06.001.263 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2010 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება. ზემოაღნიშნული განკარგულებების საფუძველზე, 2021 წლის 29 დეკემბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაოსამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და კომპანიას შორის გაფორმდა ხელშეკრულება „ქ. თბილისში, იოანე პეტრიწის ქუჩის ბოლოს მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.06.001.263 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2010 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ (შემდგომში: „ხელშეკრულება“), რომლის თანახმადაც ყოფილი კონკრეტული საბინაოსამშენებლო კოოპერატივის წევრებმა/მათმა უფლებამონაცვლეებმა, ზემოთხსენებული განკარგულებების დანართით განსაზღვრული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, სრულად განაცხადეს უარი მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე. „ქ. თბილისში, იოანე პეტრიწის ქუჩის ბოლოს მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.06.001.263 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2010 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ გაფორმდა 2021 წლის 29 დეკემბერს. შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მშენებლობის ნებართვა კომპანიას უნდა მოეპოვებინა არაუგვიანეს 2022 წლის 29 სექტემბრისა, თუმცა მშენებლობის ნებართვა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემულ იქნა 2022 წლის 5 ოქტომბრის №6151326 ბრძანებით შესაბამისად, ვადაგადაცილება შეადგენს 5 (ხუთი) დღეს. ამასთან, ხელშეკრულების 3.1. პუნქტის თანახმად, კომპანია კოოპერატივების წევრებს გადასცემს საკუთრების უფლებას ამ ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე, შესაბამისი მშენებლობის ნებართვა(ებ)ის მოპოვებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში. იმის გათვალისწინებით, რომ სამშენებლო ნებართვა გაცემულ იქნა 2022

წლის 5 ოქტომბერს, კომპანიას კოოპერატივების წევრებისთვის საკუთრების უფლების გადაცემა და განსაზღვრულ ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე ამონაწერების მომზადება უნდა უზრუნველყო არაუგვიანეს 2022 წლის 5 დეკემბრის ჩათვლით, თუმცა საკუთრების უფლების რეგისტრაცია და ინდივიდუალურ ფართებზე შესაბამისი ამონაწერების მომზადება განხორციელდა 2023 წლის 26 იანვარს. შესაბამისად, ვადაგადაცილება შეადგენს 51 (ორმოცდათერთმეტი) დღეს. აღნიშნული ვალდებულებების ვადის დარღვევა, კომპანიის წარმომადგენლის განცხადების თანახმად, გამოიწვია ობიექტურმა მიზეზებმა. ვინაიდან პირველი სამშენებლო ნებართვის აღების ბოლო დღიდან (2022 წლის 30 სექტემბრიდან) ფაქტობრივი მდგომარეობით სამშენებლო ნებართვის აღების ვადამდე (2022 წლის 5 ოქტომბრამდე) გასულია 5 (ხუთი) დღე, პირგასამტეხლოს ოდენობაა 5000 (ხუთი ათასი) ლარი. ამასთანავე, ხელშეკრულების შესაბამისად, სამშენებლო ნებართვ(ებ)ის საფუძველზე კომპანიას ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების რეგისტრაციის (ე.წ. „განშლა“) გზით, შესაბამის ფართებზე კოოპერატივის წევრების საკუთრების უფლების რეგისტრაცია უნდა განხორციელდებოდა შესაბამისი მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვებიდან, მოცემულ შემთხვევაში, 2022 წლის 5 ოქტომბრიდან - არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში, 2022 წლის 6 დეკემბრიდან 2022 წლის 2023 წლის 26 იანვრამდე გასულია 51 (ორმოცდახუთი) დღე, რისთვისაც კომპანიისთვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს 51 000 (ორმოცდათერთმეტი ათასი) ლარს, შესაბამისად, ორივე ვალდებულების დარღვევისთვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება ჯამურად - 56 000 (ორმოცდათექვსმეტი ათასი) ლარით. კომპანიამ, 2023 წლის 16 იანვრის №10/01230161236-61 და №10/01230161255-61; 2023 წლის 20 იანვრის №10/01230203203-61 და 2023 წლის 26 იანვრის №10/01230263479-61 განცხადებებით, სააგენტოს მომართა ხელშეკრულების საფუძველზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოს პატიების მოთხოვნით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 1 თებერვლის N23.112.135 განკარგულების გათვალისწინებით, საკითხი წარმოდგენილია საკრებულოში თანხმობის მისაღებად.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

*შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია დადგენილების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.*

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ჰორვატს“ (ს/ნ. 405349154) შორის 2021 წლის 24 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა №2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.14.01.008.045) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატისათვის“ (ს/კ. 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „ჰორვატის“ (ს/ნ. 405349154) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032304050-03 09.02.2023)

საკითხი წარმოადგინა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ. მისი თქმით, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 09 მარტის №419 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 3 თებერვლის N21.93.107; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 17 მარტის N21.322.362 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 თებერვლის N57; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 მარტის N103 განკარგულებების საფუძველზე განხორციელდა ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატსისათვის“ (ს/კ: 405349154) - ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ N01.14.01.008.045 საკადასტრო კოდით (დღეის მდგომარეობით - ს/კ: N01.14.01.008.092; ს/კ: N01.14.01.008.093; ს/კ: N01.14.01.008.094; ს/კ: N01.14.01.008.095; ს/კ: N01.14.01.008.096; ს/კ: N01.14.01.008.097 და ს/კ: N01.14.01.008.098) რეგისტრირებული, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.

ზემოაღნიშნული განკარგულებების საფუძველზე, 2021 წლის 24 მარტს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო“), ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ჰორვატსს“ (ს/კ: 405349154) შორის გაფორმდა „ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.01.008.045) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატსისათვის“ (ს/კ: 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულება (შემდგომში - „ხელშეკრულება“), რომლის თანახმადაც ყოფილი კონკრეტული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებმა/მათმა უფლებამონაცვლეებმა, ზემოთხსენებული განკარგულებების დანართით განსაზღვრული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, სრულად განაცხადეს უარი მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე.

ხელშეკრულების საფუძველზე, სააგენტოსთვის/სააგენტოს მიერ განსაზღვრული სხვა პირ(ებ)ისათვის კოოპერატივის წევრებისთვის ჯამურად გადასაცემი ფართი (თეთრი კარკასის მდგომარეობით) განისაზღვრა – 18000 კვ. მ ოდენობით, საიდანაც 967.12 კვ.მ საცხოვრებელი ფართი გადაეცემოდა სააგენტოს ან/და სააგენტოს მიერ განსაზღვრულ სხვა პირ(ებ)ს, ხოლო ჯამურად 17032.88 კვ.მ - ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ კოოპერატივის წევრებს; ასევე შპს „ჰორვატსმა“ (ს/კ: 405349154) იკისრა რიგი ვალდებულებები, მათ შორის:

ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და ვადებში, შესაბამისი სამშენებლო ნებართვ(ებ)ის საფუძველზე განახორციელოს ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების რეგისტრაცია (ე.წ. „განშლას“) და კოოპერატივის წევრებსა და სააგენტოს/სააგენტოს მიერ განსაზღვრულ სხვა პირ(ებ)ს, საჯარო რეესტრში პირის მესაკუთრედ რეგისტრაციის გზით, გადასცეს საკუთრების უფლება შესაბამის ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე, შესაბამისი მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში, ხოლო შენობა-ნაგებობ(ებ)ის

მშენებლობის დასრულებისათვის გათვალისწინებულ ვადაში, აღნიშნულ ფართები გადასცეს მათ ფაქტობრივად ე.წ. „თეთრი კარკასის“ მდგომარეობით. (ხელშეკრულების 3.1. პუნქტი)

ხელშეკრულებით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობ(ებ)ის სრული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და სრული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით გათვალისწინებული საანგარიშო ფართობის (შემდგომი - „სრული სამშენებლო ფართი“) 20%-ის მშენებლობის ნებართვა მოიპოვოს ამ ხელშეკრულების საფუძველზე საჯარო რეესტრში სრულ მიწის ნაკვეთზე შპს „ჰორვატის“ (ს/კ: 405349154) (ინდივიდუალური) საკუთრების უფლების რეგისტრაციიდან 6 თვის ვადაში, ხოლო დარჩენილი სამშენებლო ფართის ნებართვ(ებ)ის – ამავე რეგისტრაციიდან - 1 წლის ვადაში. (ხელშეკრულების 3.3. პუნქტი)

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მშენებლობის განხორციელება უზრუნველყოს 5 ლოტად, თითოეულ ლოტზე სრული სამშენებლო ფართის არანაკლებ 20%-ის მშენებლობის გზით:

3.4.1 ლოტი I – სრული სამშენებლო ფართის არანაკლებ 20%-ის მშენებლობა უნდა დასრულდეს სრული სამშენებლო ფართის პირველი 20%-ის მშენებლობის ნებართვის მიღებიდან არაუმეტეს 2,5 წლის ვადაში, მაგრამ არაუმეტეს ამ ხელშეკრულების 1.3. პუნქტის შესაბამისად, მიწის ნაკვეთზე შპს „ჰორვატის“ (ს/კ: 405349154) საკუთრების უფლების რეგისტრაციიდან 3 წლისა;

3.4.2 ლოტი II - სრული სამშენებლო ფართის შემდეგი 20%-ის მშენებლობა უნდა დასრულდეს

3.6.1 პუნქტით გათვალისწინებული I ლოტის მშენებლობის დასრულებიდან არაუმეტეს 1 წლის ვადაში, მაგრამ არაუმეტეს ამ ხელშეკრულების 1.3. პუნქტის შესაბამისად მიწის ნაკვეთზე შპს „ჰორვატის“ (ს/კ: 405349154) საკუთრების უფლების რეგისტრაციიდან 4 წლისა;

3.4.3 ლოტი III - სრული სამშენებლო ფართის შემდეგი 20%-ის მშენებლობა უნდა დასრულდეს 3.6.2 პუნქტით გათვალისწინებული II ლოტის მშენებლობის დასრულებიდან არაუმეტეს 1 წლის ვადაში, მაგრამ არაუმეტეს ამ ხელშეკრულების 1.3. პუნქტის შესაბამისად მიწის ნაკვეთზე შპს „ჰორვატის“ (ს/კ: 405349154) საკუთრების უფლების რეგისტრაციიდან 5 წლისა.;

3.4.4 ლოტი IV - სრული სამშენებლო ფართის შემდეგი 20%-ის მშენებლობა უნდა დასრულდეს 3.6.3 პუნქტით გათვალისწინებული III ლოტის მშენებლობის დასრულებიდან არაუმეტეს 1 წლის ვადაში, მაგრამ არაუმეტეს - ამ ხელშეკრულების 1.3. პუნქტის შესაბამისად მიწის ნაკვეთზე შპს „ჰორვატის“ (ს/კ: 405349154) საკუთრების უფლების რეგისტრაციიდან 6 წლისა;

3.4.5 ლოტი V - სრული სამშენებლო ფართის შემდეგი 20%-ის დარჩენილი მშენებლობა უნდა დასრულდეს 3.6.4 პუნქტით გათვალისწინებული IV ლოტის მშენებლობის დასრულებიდან არაუმეტეს 1 წლის ვადაში, მაგრამ არაუმეტეს ამ ხელშეკრულების 1.3. პუნქტის შესაბამისად, მიწის ნაკვეთზე შპს „ჰორვატის“ (ს/კ: 405349154) საკუთრების უფლების რეგისტრაციიდან 7 წლისა. (ხელშეკრულების 3.4. პუნქტი).

ხელშეკრულების თანახმად თითოეულ სამშენებლო ლოტიდან, კოოპერატივის წევრებსა და სააგენტოს/სააგენტოს მიერ განსაზღვრულ სხვა პირ(ებ)ს საცხოვრებელი ფართების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით, საკუთრებაში გადასცეს გადასაცემი ფართის არანაკლებ 20% ჯამურად. (ხელშეკრულების 3.5. პუნქტი)

ხელშეკრულებით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობა ექსპლუატაციაში მიიღოს შესაბამისი ნებართვის საფუძველზე შენობა-ნაგებობის მშენებლობის დასრულებიდან ოთხი თვის ვადაში და ხელშეკრულებით გათვალისწინებული საცხოვრებელ ფართები კოოპერატივის წევრებს სააგენტოს/სააგენტოს მიერ განსაზღვრულ სხვა პირ(ებ)ს ფაქტობრივ მფლობელობაში გადასცეს შესაბამისი საცხოვრებელი ფართის გასაღების მათთვის გადაცემის გზით, არაუგვიანეს ამ ხელშეკრულების 3.4 პუნქტით გათვალისწინებულ ვადებში (ხელშეკრულების 3.7. და 3.11. პუნქტები)

ხელშეკრულების 6.1.1. პუნქტის თანახმად, ინტერესთა გამოხატვაში წარდგენილი წინადადებისა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების, კერძოდ, შესაბამისი არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და სამშენებლო ნებართვ(ებ)ის მოპოვების უზრუნველსაყოფად, შპს „ჰორვატსმა“ (ს/კ: 405349154) სააგენტოს სასარგებლოდ წარადგინა ჯამში 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარის ოდენობის გამოუხმობადი და უპირობო საბანკო გარანტია. ამავე ხელშეკრულების 6.1.2. პუნქტის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ შპს „ჰორვატსი“ (ს/კ: 405349154) დაარღვევდა ხელშეკრულების 6.1.1 ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ვადას, მას დაეკისრებოდა სააგენტოსთვის პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება საბანკო გარანტიის ჯამური ოდენობის 0,1 %-ის (ნული მთელი ერთი მეათედი პროცენტის) ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, შესაბამისი სრული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვება წარმოადგენს საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილ ვალდებულებებს, მათთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის გამო, შპს „ჰორვატსისთვის“ (ს/კ: 405349154) დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება 1000 (ათასი) ლარით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

როგორც ზემოთ აღნიშნა, ხელშეკრულების მიხედვით, შპს „ჰორვატსს“ (ს/კ: 405349154) სრული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და სრული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით გათვალისწინებული საანგარიშო ფართობის 20%-ის მშენებლობის ნებართვა უნდა მოეპოვებინა არაუგვიანეს 2021 წლის 1 ოქტომბრისა, ხოლო დარჩენილი სამშენებლო ფართის ნებართვ(ებ)ი - არაუგვიანეს 2022 წლის 1 აპრილისა. ვინაიდან, შპს „ჰორვატსის“ (ს/კ: 405349154) მხრიდან არ შესრულებულა აღნიშნული ვალდებულებები, 2022 წლის 25 ოქტომბრის №10/01222982061-61 განცხადებებით, სააგენტოს მომართა ხელშეკრულების საფუძველზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოს პატიების მოთხოვნით.

შპს „ჰორვატსის“ (ს/კ: 405349154) განმარტებით, ვალდებულებების შესრულება შეფერხდა რიგი ობიექტური მიზეზების გამო, კერძოდ:

COVID პანდემიისგან კორონავირუსით გამოწვეული გართულებების შედეგად 2021 წლის აგვისტოში ისრაელში გარდაიცვალა შპს „ჰორვატსის“ (ს/კ: 405349154) დირექტორი და ერთპიროვნული წილის მფლობელი - ელი ხენი (0-1498658-2, 10945329, 39019547, 01291027080). აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ჰორვატსი“ (ს/კ: 405349154) დარჩა შესაბამისი წარმომადგენლობისა და უფლებამოსილების მქონე პირის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ისრაელში დროულად დაიწყო სამკვიდროს დროებითი მმართველის დასანიშნად შესაბამისი პროცედურების გატარება, ისრაელში არსებული რეგულაციებისა და აღნიშნული ქვეყნის კანონმდებლობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი და საკმაოდ დიდი დრო დაიკარგა შესაბამისი უფლებამოსილების დოკუმენტების მოპოვება და გაცემაში. ზემოაღნიშნული დოკუმენტ(ებ)ის აუცილებლობა კი იმით იყო განპირობებული, რომ დანიშნულიყო წილის დროებითი მმართველი და ახალი დირექტორი, რომელიც წარმართავდა/განახორციელებდა საქმიანობას. ვინაიდან, წილის დროებითი მმართველისა და ახალი დირექტორის დანიშვნამდე, შპს „ჰორვატსი“ (ს/კ: 405349154) ფაქტობრივად მოკლებული იყო შესაძლებლობას ეწარმოებინა საქმიანობა.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანი გარემოებაა, რომ საპროექტო ტერიტორიას უკავშირდება 4-6 მეტრის სიგანის გზა, რაც ვერ უზრუნველყოფს არსებულ ტერიტორიაზე ავტომობილების მოქნილად გადაადგილებას, შესაბამისად, საჭირო გახდა ალტერნატიული მისასვლელი გზის მოძიება/მოწყობა, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ საპროექტო არეალი წარმოადგენს რთულ რელიეფს, საჭირო გახდა ალტერნატიული გზის მარშრუტის მოძიება და აღნიშნულ

ალტერნატიულ გზაზე სამართლებრივი უფლების მოპოვების მიზნით შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებთან წარმოების დაწყება. შპს „ჰორვატის“ (ს/კ: 405349154) მიერ იდენტიფიცირებული ალტერნატიული გზის ტერიტორიის მესაკუთრე იყო/არის სახელმწიფო, რომელი ტერიტორიის ნაწილზეც უნდა მომხდარიყოსერვიტუტის უფლების რეგისტრაცია. შესაბამისად, აღნიშნულის უზრუნველსაყოფად შპს „ჰორვატის“ (ს/კ: 405349154) უნდა მოეხდინა ალტერნატიული გზის აზომვითი ნახაზ(ებ)ის მომზადება და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირთა (ამზომველთა ჯგუფის) ტერიტორიაზე დაშვების უფლების მოპოვება. როგორც აღინიშნა, დასახელებული ტერიტორიის მესაკუთრეს წარმოადგენს სახელმწიფო, თუმცა იდენტიფიცირებული გზის/ტერიტორიის მოსარგებლები იყვნენ/არიან სსიპ - გრიგოლ წულუკიძის სახელობის სამთო ინსტიტუტი და სსიპ - სოხუმის ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი (შემდგომში - „ინსტიტუტები“). შპს „ჰორვატისმა“ (ს/კ: 405349154)რამდენჯერმე მიმართა ინსტიტუტებს შესაბამის ტერიტორიაზე დაშვების მოთხოვნით, აზომვითი სამუშაოების განხორციელების მიზნით, თუმცა, რამდენჯერმე ეთქვათ უარი, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე განლაგებულია სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული ობიექტ(ებ)ი. საბოლოოდ პროცესი გაჭიანურდა 1 (ერთი) თვეზე მეტი ვადით.

შპს „ჰორვატის“ (ს/კ: 405349154) განმარტებით, ვადის გაჭიანურება ასევე, გამოიწვია არქიტექტურული პროექტისკორექტირებამ და შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ადმინისტრაციულ ორგანოებთან გარკვეული საკითხ(ებ)ის შეთანხმების პროცესის დაყოვნებამ. აღსანიშნავია, რომ შპს „ჰორვატის“ მიერ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 10 ნოემბრის № 6201665 ბრძანების საფუძველზე (განცხადების ნომერი: AR1912968), შეთანხმებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. დანარჩენ მიწის ნაკვეთზე არქიტექტურული პროექტი შეთანხმებული არ არის. ამასთან, 2021 წლის 1-ლი ოქტომბრიდან დღემდე დარღვეულია/ირღვევა ხელშეკრულების 3.3 პუნქტით გათვალისწინებული ვადები, ვინაიდან, არცერთ მიწის ნაკვეთზე არ არის მოპოვებული მშენებლობის ნებართვა და 2022 წლის 8 თებერვლის მდგომარეობით, ამავე ხელშეკრულების 6.1.2 პუნქტით გათვალისწინებული, შპს „ჰორვატისსასთვის“ დასაკისრებელიპირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს 495 000 ლარს. აღნიშნული თანხა იზრდება ყოველდღიურად 1 000 (ათასი) ლარის ოდენობით.

2023 წლის 2 თებერვალს სააგენტოში წარდგენილ იქნა შპს „ჰორვატის“ (ს/კ: 405349154) და კომპანიის - შპს „თეთრი კვადრატი მინდელზე“(ს/ნ: 405589395)“ (შემდგომში - „კომპანია“), ერთობლივი განცხადება N22/0123033574-01, რომლითაც დგინდება, რომ მათ შორის გაფორმდა მემორანდუმი. კომპანია მზად არის იკისროს ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები სრულად და კეთილსინდისიერად განახორციელოს მათი შესრულება.

შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით, მხარეებს შორის ფორმდება შეთანხმება და ხელშეკრულებაში შედის რამდენიმე ცვლილება. კერძოდ:

ხელშეკრულებიდან წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის მხარედ შპს „ჰორვატის“(ს/ნ: 405349154), ნაცვლად განისაზღვრა კომპანია და მასზე სრულად გავრცელდება ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში წარმოშობილი უფლებები და ვალდებულებები.

მშენებლობა განხორციელდება 4 ლოტად და თითოეული ლოტიდან სააგენტოს/ კოოპერატივებს ჯამურად გადაეცემათ გადასაცემი ფართის არანაკლებ 25%.

I ლოტის მშენებლობის ნებართვის მოპოვების ვადად განისაზღვრება 2023 წლის 30 აპრილი, ხოლო II, III და IV ლოტების ნებართვ(ებ)ის - 2023 წლის 31 მაისი.

ამასთან, თუ კომპანია III და IV ლოტების ნებართვებს ვერ მოიპოვებს 31 მაისამდე, იღებს ვალდებულებას, რომ სააგენტოს და კოოპერატივებს სრულად დააკმაყოფილებს I და II ლოტებში.

მშენებლობის დასრულების საბოლოო ვადა - 2028 წლის 31 მარტი - არ იცვლება. იცვლება ლოტების დასრულების ვადები. კერძოდ, I ლოტის მშენებლობა უნდა დასრულდეს 2025 წლის 1 მარტამდე, II ლოტის - არაუგვიანეს 2026 წლის 31 მარტისა, III ლოტის - არაუგვიანეს 2027 წლის 31 მარტისა, ხოლო IV ლოტის - არაუგვიანეს 2028 წლის 31 მარტამდე.

შეთანხმების ამოქმედება დაკავშირებულია შპს „თეთრი კვადრატი მინდელზე“-ს მიერ საბანკო გარანტიის წარმოდგენასთან. კერძოდ, შეთანხმების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, აღნიშნული კომპანიის მიერ საბანკო გარანტიის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, შეთანხმება ავტომატურად მიიჩნევა ძალადაკარგულად.

შესაბამისად, ვინაიდან, მუნიციპალიტეტისთვის კოოპერატიული პროექტის მაქსიმალურად სწრაფად და ეფექტურად განხორციელება არსებითად მნიშვნელოვანი საკითხია, წარმოდგენილი პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანხმობას აცხადებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „ჰორვატს“ (ს/ნ: 405349154) შორის 2021 წლის 24 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, მოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.01.008.045) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატისათვის“ (ს/კ: 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანასა და ამავე ხელშეკრულების 3.3. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო 6.1.2. პუნქტის შესაბამისად დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „ჰორვატის (ს/ნ: 405349154) გათავისუფლების თაობაზე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „ჰორვატს“-ს (ს/ნ: 405349154) შორის 2021 წლის 24 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, მოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.01.008.045) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატისათვის“ (ს/კ: 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „ჰორვატის“ (ს/ნ: 405349154) გათავისუფლების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 8 თებერვლის N23.160.174 განკარგულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

**შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია დადგენილების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.**

5. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032303956-03 08.02.2023; №12-032304038-03 09.02.2023; 12-03230475-03- 16.02.2023; №12-03230331-03 02.02.2023; 12-0322159119-03 - 08.06.2022 „გ“ პოზიცია; 12-0322187132-03 - 06.07.2022 „ი“ პოზიცია)

კომისიამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის წერილებით (საკრებულოს №12-032303956-03 08.02.2023; №12-032304038-03 09.02.2023; 12-03230475-03- 16.02.2023; №12-03230331-03 02.02.2023; 12-0322159119-03 - 08.06.2022 „გ“ პოზიცია; 12-0322187132-03 - 06.07.2022 „ი“ პოზიცია) წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. საკითხი წარმოადგინეს ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილეებმა ნინო ბაგაშვილმა და ოთარ ჩიტბეძემ. წარმოდგენილი წერილებით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში-რუკასა (ა პუნქტით დამტკიცებული) მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების 24 წინადადება კერძოდ:

**№12-032303956-03 08.02.2023;**

ა) ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, ალექსეევკის 3-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.25.001.295) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის შენობის განთავსება, რაც შეამცირებს მოლოდინის დროს და უზრუნველყოფს სამედიცინო ბრიგადის სწრაფ რეაგირებას. აღნიშნული უძრავი ქონება წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტომ 2023 წლის 1 თებერვლის N61-01230323605 წერილით დააფიქსირა პოზიცია მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილებასთან დაკავშირებით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2022 წლის 8 დეკემბრის N01223422826 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, ალექსეევკის 3- ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.25.001.295) ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღება;

ბ) ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისის მიმდებარე არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.16.104.006) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონის (რზ) სატყეო ზონით



ცვლილება. აღნიშნული ტერიტორიის მომიჯნავედ, სამხრეთით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა. ხოლო საპროექტო არეალს ჩრდილოეთით ესაზღვრება ფერდი, რომელიც მოქცეულია მაღალი და საშუალო გეოლოგიური საფრთხეების ზონაში და წარმოადგენს ერთიან მასივს. ამასთან, მიმდებარე არეალი გაუნაშენიანებელია, რომლის შენარჩუნება წარმოადგენს ქალაქმშენებლობითი განვითარების პრიორიტეტს. აღნიშნული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო 2023 წლის 1 თებერვლის N61-01230323614 წერილის მიხედვით, არ არის წინააღმდეგი, დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (N01.72.16.104.006-ის ნაწილი) გავრცელებული ფუნქციური ზონა, სარეკრეაციო ზონა (რზ) შეიცვალოს სატყეო ზონით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.16.104.006) ნაწილზე სარეკრეაციო ზონის (რზ) სატყეო ზონით ცვლილება მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც;

გ) ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.13.18.572) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა. საპროექტო N72.13.18.572 საკადასტრო ერთეულზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილების მიხედვით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და მცირედ ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრულია სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). ფრაგმენტული კონფიგურაციით ცვლილებისგან თავის არიდებისა და ტერიტორიის ერთიანი სახით განვითარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ფუნქციური ზონის ცვლილება ასევე ხორციელდება მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზეც. საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე გავრცელებულია საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2), შესაბამისად მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილებას არ გააჩნია ფრაგმენტული ხასიათი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2023 წლის 1 თებერვლის N18-0123032938 წერილის მიხედვით, თანახმაა საპროექტო არეალზე (საკადასტრო კოდი: N72.13.18.572 და მიმდებარე დაურეგისტრირებელი ტერიტორია) განხორციელდეს სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში მდებარე მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N72.13.18.572) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია;

დ) ქალაქ თბილისში, გეგუთის ქუჩა N23-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.10.016.002) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი

ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა. ფრაგმენტული კონფიგურაციით ცვლილებისგან თავის არიდებისა და ტერიტორიის ერთიანი სახით განვითარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ფუნქციური ზონის ცვლილება ასევე ხორციელდება იმდებარე N01.12.10.016.008 საკადასტრო ერთეულის ნაწილსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე გავრცელებულია საცხოვრებელი ზონა (სზ), შესაბამისად მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილებას არ გააჩნია ფრაგმენტული ხასიათი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 1 თებერვლის N18-01230323622 წერილის მიხედვით, თანახმაა საპროექტო არეალზე (საკადასტრო კოდი: N01.12.10.016.002-ის ნაწილი, N01.12.10.016.008-ის და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორია) განხორციელდეს სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გეგუთის ქუჩა N23-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.10.016.002) ნაწილზე და მიმდებარე N01.12.10.016.008 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია;

ე) ქალაქ თბილისში, მუხრანის ქუჩა, N11; 11ა; 11ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.12.09.003.044; N01.12.09.003.043; N01.12.09.003.003) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა. საპროექტო არეალზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილების მიხედვით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა (სზ). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრულია ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანება. ფრაგმენტული ცვლილებისგან თავის არიდებისა და ტერიტორიის ერთიანი სახით განვითარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნა ხორციელდება მომიჯნავე N01.12.09.003.047, N01.12.09.003.040 საკადასტრო ერთეულებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელი ტერიტორიაზე. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2023 წლის 3 თებერვლის N18-01230343013 წერილის მიხედვით, თანახმაა საპროექტო არეალზე (საკადასტრო კოდი: N01.12.09.003.044; N01.12.09.003.043; N01.12.09.003.003; N01.12.09.003.047; N01.12.09.003.040 და დაურეგისტრირებელ ტერიტორია) განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდა კვარტალური) გამწვანების მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მუხრანის ქუჩა, N11; 11ა; 11ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.12.09.003.044; N01.12.09.003.043; N01.12.09.003.003) და მომიჯნავე N01.12.09.003.047, N01.12.09.003.040

საკადასტრო ერთეულებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა მისაღებია;

ვ) ქალაქ თბილისში, ვაზისუბანი Iმ/რ კორპ. N16 მიმდ.; ქალაქი თბილისის, ვაზისუბრნის Iმ/რ, კორპუსი 15-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.07.039.031) ნაწილზე მოთხოვნილია შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა. საპროექტო არეალზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილების მიხედვით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრულია ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანება. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ საპროექტო არეალის ჩრდილოეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკაზე ხარვეზის სახით რჩება ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანება. აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა ხორციელდება N01.17.07.039.031 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე დაურეგისტრირებელი ტერიტორიაზე. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 7 თებერვლის N01230383724 წერილის მიხედვით, თანახმაა საპროექტო არეალზე განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვაზისუბანი Iმ/რ კორპ. N16 მიმდ.; ქალაქი თბილისის, ვაზისუბრნის Iმ/რ, კორპუსი 15-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.07.039.031) ნაწილზე და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე შიდა კვარტალური (ურბანული) გამწვანებული მოხსნა მისაღებია;

ზ) ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა, N 5, კორპუსი 2-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.431) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა. საპროექტო არეალზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილების მიხედვით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრულია ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 7 თებერვლის N01230383929 წერილის მიხედვით, თანახმაა საპროექტო არეალზე განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის

ქუჩა N5, კორპუსი 2- ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.431) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა მისაღებია;

თ) ქალაქ თბილისში, ილია ვეკუას ქუჩა N97-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.12.004.036) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა. საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს კომერციული დანიშნულების/ფუნქციის მქონე შენობა/ნაგებობის განთავსება. რეგისტრაცია წარმოადგენს მოასფალტებულ სივრცეს და არ გააჩნია სარეკრეაციო ფუნქცია. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ საპროექტო არეალის სამხრეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკაზე ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მცირე ნაწილი. აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა ხორციელდება N01.11.12.004.036 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე დაურეგისტრირებელი ტერიტორიაზეც. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 7 თებერვლის N01230382651 წერილის შესაბამისად სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა.

*აღნიშნულ ფუნქციურ ზონის ცვლილებას უარყოფითი შეფასება მისცა კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.*

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, ილია ვეკუას ქუჩა N97-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.12.004.036) და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის მცირე ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა მისაღებია.

#### **№12-032304038-03 09.02.2023;**

ა) ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, აგარაკის ქუჩა, N41-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N72.16.22.393; N72.16.22.394; N72.16.22.395; N72.16.22.396; N72.16.22.397; N72.16.22.398; N72.16.22.399; N72.16.22.400; N72.16.22.401; N72.16.22.402; N72.16.22.403; N72.16.22.404; NN72.16.22.405; N72.16.22.406; N72.16.22.407; N72.16.22.420; N72.16.22.408; N72.16.22.409; N72.16.22.410; N72.16.22.411; N72.16.22.412; N72.16.22.413; N72.16.22.414; N72.16.22.415; N72.16.22.416; N72.16.22.417; N72.16.22.418; N72.16.22.419) და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. აღნიშნულ ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, აგარაკის ქუჩა, N41-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.15.691) და მიმდებარედ უფლებადაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20

ოქტომბრის N323 განკარგულება ადგენს ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ N72.16.22.404; NN72.16.22.405; N72.16.22.406; N72.16.22.407; N72.16.22.420; N72.16.22.408; N72.16.22.409; N72.16.22.410; N72.16.22.411 საკადასტრო ერთეულების სამხრეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა (რზ). აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო არეალის სამხრეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონის (რზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონის (რზ) ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 27 იანვრის N18-0123032914 წერილის მიხედვით, თანახმაა საპროექტო არეალზე, რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: N72.16.22.404; NN72.16.22.405; N72.16.22.406; N72.16.22.407; N72.16.22.420; N72.16.22.408; N72.16.22.409; N72.16.22.410; N72.16.22.411) სამხრეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე განხორციელდეს სარეკრეაციო ზონის (რზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონის (რზ) ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, 2023 წლის 27 იანვრის N16-01230313646 წერილის მიხედვით, თავის კომპეტენციის ფარგლებში, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვის მიზნით სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელების წინააღმდეგი არ არის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, აგარაკის ქუჩა, N41- ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N72.16.22.393; N72.16.22.394; N72.16.22.395; N72.16.22.396; N72.16.22.397; N72.16.22.398; N72.16.22.399; N72.16.22.400; N72.16.22.401; N72.16.22.402; N72.16.22.403; N72.16.22.404; NN72.16.22.405; N72.16.22.406; N72.16.22.407; N72.16.22.420; N72.16.22.408; N72.16.22.409; N72.16.22.410; N72.16.22.411; N72.16.22.412; N72.16.22.413; N72.16.22.414; N72.16.22.415; N72.16.22.416; N72.16.22.417; N72.16.22.418; N72.16.22.419) და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონის (რზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონის (რზ) მოხსნა მისაღება;

ბ) ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა №165-ში; ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.19.39.008.001; N01.19.39.006.210–ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. აღნიშნულ ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა №165-ში; ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.19.39.008.001; N01.19.39.006.210–ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27

იანვრის N23 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ N01.19.39.008.001 საკადასტრო ერთეულის სამხრეთ-დასავლეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სამრეწველო ზონა 1 (ს-1). აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. ასევე, N01.19.39.008.001 საკადასტრო ერთეულის ჩრდილოეთით N01.19.39.006.210 საკადასტრო ერთეულის მცირედ ნაწილზე ტექნიკური ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1). აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N01.19.39.006.210 საკადასტრო ერთეულის მცირედ ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც. გარდა ამისა, N01.19.39.008.001 საკადასტრო ერთეულისა N01.19.39.006.210 საკადასტრო ერთეულის საზღვარს შორის დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სამრეწველო ზონა 1 (ს-1). აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სანიტარული ზონით (სანზ) ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოვიძის ქუჩა №165-ში; ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.19.39.008.001; N01.19.39.006.210-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) და სანიტარული ზონით (სანზ) ცვლილება, ასევე N01.19.39.006.210 საკადასტრო ერთეულის მცირედ ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც;

გ) ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N81.02.19.916; N81.02.19.639; N81.02.19.917; N81.02.00.333; N81.02.95.377; N81.02.97.939; N81.02.19.638) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. აღნიშნულ ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.19.916; N81.02.19.639; N81.02.19.917; N81.02.00.333; N81.02.95.377; N81.02.97.939; N81.02.19.638) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის N624 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 იანვრის N26 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N81.02.19.916;

N81.02.19.639; N81.02.19.917; N81.02.00.333; N81.02.95.377; N81.02.97.939; N81.02.19.638) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღება.

**№12-03230475-03- 16.02.2023;**

ა) ქალაქ თბილისში, დასახლება ვაშლიჯვარი, სარაჯიშვილის ქუჩა N17-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.10.003.005, ნაკვ. 03/005) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1- ისა (ს-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს საპროექტო ტერიტორიაზე საავადმყოფოს მშენებლობა წარმოადგენს, რაც „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების შესაბამისად სპეციალური ზონა 1-ისთვის (სპეცზ-1) განაშენიანების დასაშვებ სახეობას წარმოადგენს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 15 თებერვლის N012304695 წერილის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) გავრცელებულია არსებული შენობა-ნაგებობისა და ღობის მონაკვეთზე და არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ საპროექტო ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: N01.10.10.003.005) სამხრეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სამრეწველო ზონა 1 (ს-1). აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N01.10.10.003.005 საკადასტრო ერთეულის სამხრეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება. **მითითებული ტერიტორიის ფუნქციური ზონის ცვლილება, ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობის გათვალისწინებით გადადებულ იქნა.**

ბ) ქალაქ თბილისში, დიმიტრი უზნაძის ქუჩა N43/45-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.16.05.013.021; N01.16.05.013.062) მოთხოვნილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ისა (სსზ-3) და სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სსზ-3), სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) და საცხოვრებელი ზონა 5(სზ-5), ხოლო, გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრულია ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანება. ვინაიდან, საპროექტო არეალის დიდ ნაწილზე გავრცელებულია საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5) მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილებას არ გააჩნია ფრაგმენტული ხასიათი. ვინაიდან, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია (საკადასტრო კოდი:

N01.16.05.013.021; N01.16.05.013.062) ექცევა ისტორიული ნაწილის დამცავ ზონაში „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების დანართი N2-ის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ქმედებები რეგულირდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით, ზემოაღნიშნული დადგენილებითა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებებითა და წესებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების, „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N91 განკარგულებით დამტკიცებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილების თანახმად, 2023 წლის 1 თებერვლის N01230323924-67 განცხადების ფარგლებში ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხი, განსახილველად წარედგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს. საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე (2023 წლის 9 თებერვლის N4 ოქმი), დიმიტრი უზნაძის N43-45-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.16.05.013.021; 01.16.05.013.062) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ისა (სსზ-3) და სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილების საკითხს მიეცა დადებითი შეფასება. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ საპროექტო არეალის სამხრეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სსზ-3). აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო არეალის (საკადასტრო კოდი: N01.16.05.013.021; N01.16.05.013.062) სამხრეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ის (სსზ-3) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დიმიტრი უზნაძის ქუჩა N43/45-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.16.05.013.021; N01.16.05.013.062) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ისა (სსზ-3) და სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ის (სსზ-3) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, ჩიხი საინგილო 5-ში მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.266; N01.17.02.059.008; N01.17.02.059.267) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის



საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო უფლებამოსილებების ფარგლებში განიხილავს ქალაქ თბილისში, ჩიხი საინგილო 5-ში მდებარე N01.17.02.059.266; N01.17.02.059.008 საკადასტრო ერთეულების პრივატიზებას. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 13 თებერვლის N012304475 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, წარმოდგენილ საპროექტო არეალზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანებული არელების ფენის მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ჩიხი საინგილო 5-ში მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.266; N01.17.02.059.008; N01.17.02.059.267) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა მისაღებია; დ) ქალაქ თბილისში, გახოკიდის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N01.19.39.031.029) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო უფლებამოსილებების ფარგლებში განიხილავს გახოკიდის ქუჩის მიმდებარედ არსებული N01.19.39.031.029 საკადასტრო ერთეულის პრივატიზებას. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 7 თებერვლის N01230383783 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანებული არელების ფენის მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გახოკიდის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N01.19.39.031.029) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა მისაღებია;

ე) ქალაქ თბილისში, ნასერალის ქედის ქუჩა N57-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.13.50.017) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შედაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიაზე ღობის მოწყობა. მიწის ნაკვეთზე, რომლისთვისაც იგეგმება ღობის მოწყობა დგას შენობანაგებობა, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი. ტერიტორიაზე არ ფიქსირდება ხე-ნარგავები და რაიმე სახის გამწვანება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 10 თებერვლის N0123041979 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ნასერალის ქედის ქუჩა N57-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.13.50.017) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა მისაღებია;

ვ) ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, აკაკი წერეთლის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.07.016.032) ნაწილზე მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა. N01.15.07.016.032 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის

ნაკვეთის ძირითად ნაწილზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). ხოლო, მცირე ნაწილზე - სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3). „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტს №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, N01.15.07.016.032 საკადასტრო ერთეულის ძირითად ნაწილზე გავრცელდა სატყეო ზონა, ხოლო მცირე ნაწილზე - საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). შესაბამისად ტერიტორიას შეეხებოდა სამშენებლო განვითარების შესაძლებლობა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 14 თებერვლის N01230453169 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე, 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით განსაზღვრული კონტურის შესაბამისად, განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული ფენის (სატყეო ზონა) მოხსნა. წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, აკაკი წერეთლის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.07.016.032) ნაწილზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღება;

ზ) ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, თბილისის ქუჩა N35-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.07.002.032) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება. N01.15.07.002.032 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს მასზე რეზო გაბრიადის სახელობის არტ-ცენტრის დაარსება. გაბრიადის საგანმანათლებლო არტ-ცენტრი იქნება უნიკალური სივრცე, სადაც გაერთიანდება შემოქმედებითი, რეკრეაციული და საგანმანათლებლო მიმართულებები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, თბილისის ქუჩა N35-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.07.002.032) საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება მისაღება;

თ) ქალაქ თბილისში, ჭალადიდის ქუჩა N9-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.16.03.039.020) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონის (სზ) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება. N01.16.03.039.020 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ტერიტორიაზე ავარიულ მდგომარეობაში მყოფი საბავშვო ბაგა-ბაღის დემონტაჟი და ამავე მიწის ნაკვეთზე ახალი, თანამედროვე საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა. ზემოაღნიშნული მოთხოვნით, 2022 წლის 28 ნოემბრის N66-01223321312წერილით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირს - ქონების მართვის სააგენტოს მიმართა ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ. ამასთან, ვინაიდან, საპროექტო ტერიტორიაზე არსებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) გავრცელებულია რეგისტრაციაზე არსებულ შენობა-

ნაგებობაზე და არ ავიწროვებს ფაქტობრივად არსებული გზის პარამეტრებს, არ ზღუდავს საგზაო მოძრაობას და მისი გაუქმება არ გამოიწვევს არსებით ცვლილებას მიმდებარე გარემო განაშენიანებისთვის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ჭალაქი N9-ში მიმდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.16.03.039.020) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონის (სზ) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება მისაღებია;

ი) ქალაქ თბილისში, გარდაბნის გზატკეცილი N42-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.32.001.122; N01.19.32.001.121) მოთხოვნილია ძირითადი რუკით არსებული სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ამორტიზებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟი, აღნიშნული ორი საკადასტრო ერთეულის გაერთიანება და ტერიტორიაზე მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის განთავსება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 14 თებერვლის N01230453494 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე მოხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ საპროექტო არეალის ჩრდილოეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-სა (სსზ-2) და არსებულ სატრანსპორტო ზონა 1-ს (ტზ-1) შორის სამრეწველო ზონა 1 (ს-1). აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო არეალის (საკადასტრო კოდი: N01.19.32.001.122; N01.19.32.001.121) ჩრდილოეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გარდაბნის გზატკეცილი N42-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.32.001.122; N01.19.32.001.121) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე ძირითადი რუკით არსებული სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ითა (სსზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია;

კ) ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ე.წ „ვაშლის ბაღი“-ს ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.093.038) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება, N01.20.01.093.038 საკადასტრო კოდიტ რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს მასზე მკვეთი სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმება, რომელიც წარმოადგენს დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის ხარვეზს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 9 თებერვლის N01230402583 წერილის მიხედვით, მოთხოვნილი ცვლილებით არ მოხდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სივრცის არსებითი შემცირება და დარჩენილი პარამეტრი საკმარისი იქნება სამომავლოდ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ჯეროვანი განვითარებისათვის. ამასთან, სატრანსპორტო ზონის სწორხაზოვანი კონფიგურაციის

დაცვისათვის, მიზანშეწონილია N01.20.01.093.067, N01.20.01.093.171 N01.20.01.093.038, N01.20.01.093.084 დაN01.20.01.093.070 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე და მიმდებარედ არსებულდაურეგისტრირებულ ტერიტორიის მცირე ნაწილზე გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) გასწორდეს მათ საკადასტრო საზღვრებთან და ფაქტობრივად არსებულ გზასთან. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ე.წ „ვაშლის ბაღი“-ს ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.093.038; N01.20.01.093.171, N01.20.01.093.067; N01.20.01.093.084, N01.20.01.093.070) ნაწილზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებულ ტერიტორიაზესატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) ცვლილება მისაღებია.

**№12-03230331-03 02.02.2023;**

ქალაქ თბილისში, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული ფერდობი 3-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.13.003.044) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ისა (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო უფლებამოსილებების ფარგლებში განიხილავს ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში მდ.მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული ფერდობი 3-ის, მიმდებარედ არსებული N01.10.13.003.044 საკადასტრო ერთეულის პრივატიზებას. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 30 იანვრის N01230304093 წერილის მიხედვით, ვინაიდან, ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და „მწვანე ქალაქის“ კონცეფციით განსაზღვრული ამოცანების შესრულების მიზნით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სარეკრეაციო სივრცეებისა და გამწვანებული ტერიტორიების შენარჩუნება და დაცვა, ასევე, ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების შემცირება ქალაქის მდგრადი განვითარების აუცილებელ მინიმუმამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა მიზანშეწონილად არ მიაჩნია. აქვე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

*აღნიშნულ ფუნქციურ ზონის ცვლილებას უარყოფითი შეფასება მისცა კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.*

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული ფერდობი 3-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.13.003.044) გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია;

**№12-0322159119-03 - 08.06.2022 „გ“ პოზიცია;**

კომისიამ ხელახლა განიხილა 2022 წლის 9 ივნისის (#12 კომისიის სხდომის ოქმი) გადადებული ფუნქციური ზონის ცვლილება. გ) ქალაქ თბილისში, ვარკეთილი, გახოკიდის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.39.031.072) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული

ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს N01.19.39.031.072 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის პრივატიზებას. საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.19.39.031.072) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით ვრცელდებოდა საზოგადოებრივსაქმიანი ზონა 1 (სსზ-1). „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) და გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით ვრცელდება ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 30 მაისის N0122150867 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნა

#### **№12-0322187132-03 - 06.07.2022 „ი“ პოზიცია**

კომისიამ ხელახლა განიხილა 2022 წლის 11 ივლისს (#14 კომისიის სხდომის ოქმი) გადადებული ფუნქციური ზონის ცვლილება. ი) ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.011.128) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) და სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირი - ქონების მართვის სააგენტო უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.18.011.128) პრივატიზებას. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 4 ივლისის N01221853121 წერილის მიხედვით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონა და სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). ზემოაღნიშნული ცვლილების შედეგად მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილურკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით N01.10.18.011.127 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე ხორციელდება, სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატყეო ზონით და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის მოხსნა.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39- 18 დადგენილებაში*

*ცვლილების შეტანის 24 წინადადება, ზ/თქმული შენიშვნით გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

6. ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N36-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.10.007.041) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032304039-03 09.02.2023)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდელიემ ოთარ ჩიტინემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N36-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.10.007.041). მიწის ნაკვეთის ფართობია 10 000კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სზ-3). საპროექტო ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის N632 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი. ფუნქციური დანიშნულების მიხედვით ტერიტორია სრულად განვითარდება საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6). საპროექტო წინადადებით დაგეგმილია ერთ მიწის ნაკვეთზე 3 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ერთი 9 სართულიანი და ორი 12 სართულიანი) განთავსება. საპროექტო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: საპროექტო არეალის ფართობი - 10 000კვ.მ. საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) კ1-0,5 კ2-2,5 კ3-0,3 სართულიანობა - 9-12 მიწისზედა სართული, 33,5-41 მეტრი. არსებული ფუნქციური ზონირება - საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სზ-3). საპროექტო ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). საპროექტო მიწის ნაკვეთის სიახლოვეს გადის შპს „თბილისი ენერჯის“ კუთვნილი საჰაერო D=500 მმ-იანი და მიწისქვეშა საშუალო წნევის გაზსადენები. აღნიშნული მიწისქვეშა გაზსადენის ღერძიდან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების საძირკვლამდე მანძილი უნდა განისაზღვროს არანაკლებ 4 (ოთხი) მეტრით. ნაკვეთის სიახლოვეს განთავსებული მილსადენის საექსპლუატაციო ზონაში 1 (ერთი) მეტრის მანძილზე, დაუშვებელია ნებისმიერი სახის ნაგებობის და მრავალწლიანი ხე-ნარგავების განთავსება. ვინაიდან, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს საშუალო გეოლოგიური საფრთხეების არეალში, არქიტექტურული პროექტების შეთანხმების ეტაპზე წარმოდგენილ უნდა იქნეს საპროექტო ტერიტორიის დეტალური გეოლოგიის კვლევა, დეტალური გეოლოგიური შეფასება სამშენებლო განვითარებასთან და მის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, საპროექტო ტერიტორიაზე განსათავსებელი ყველა შენობისთვის ცალ-ცალკე. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 7 თებერვლის N01230382630 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 8 თებერვლის N 0123039234 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და

ურბანული განვითარების სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს კომისიის წევრებმა ლილე ლიპარტელიანმა და მიხეილ კაკაურიძემ.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად თვლის ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N36-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.10.007.041) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების საკითხი (საქმე №12-032304039-03 09.02.2023წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე [www.ms.gov.ge](http://www.ms.gov.ge) რეგისტრირებული განაცხადი N0123017354-67; (N012303618-67; N01230383946-67)) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

7. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიდის IV მიკრორაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.02.009.032; N01.14.02.009.033) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N417 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032303351-03 02.02.2023)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდგილემ ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ნუცუბიდის IV მ/რ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: N01.14.02.009.034). საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობია 7501.0 კვ.მ. მიმდებარე ტერიტორია განვითარებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსებით. საპროექტო არეალზე მდებარეობს ამორტიზებული სპორტული მოედანი, რომლის შესანარჩუნებლად, საჯარო ინტერესების შესაბამისად, გათვალისწინებულია ორი სპორტული მოედნის მშენებლობა. საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით მდებარეობს ერთსართულიანი შენობა-ნაგებობები, რომლის დემონტაჟიც გათვალისწინებულია პროექტით. საპროექტო არეალთან სატრანსპორტო კავშირი ხორციელდება მ. ქანთარიას ქუჩიდან. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). საპროექტო ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 ივნისის N249 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N417 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი. დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი პარამეტრები: საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). (7 501 კვ.მ.) შენობის ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: მიწის ნაკვეთის ფართობი: 7 501 კვ.მ. განაშენიანების ფართობი: კ-1=0,5 (3 750 კვ.მ). განაშენიანების ინტენსიობის ფართობი კ-2=2,5 (19

050 კვ.მ); გამწვანების ფართობი:  $კ-3=0,3$  (2 250კვ.მ). შენობის მაქს. სიმაღლე - 50მ. ამასთან, საპროექტო მიწის ნაკვეთზე აღნაგობის ხელშეკრულებით (დამოწმების თარიღი: 26.01.2015) მოთხოვნილია მომიჯნავე ნაკვეთის მოზინადრეებისათვის ავტოსადგომით უზრუნველყოფა, აღნიშნული ვალდებულება პროექტით გათვალისწინებულია და დაგეგმილია 25 შიდა დახურული საპარკინგე ადგილის მოწყობა, რომლისთვისაც მისასვლელი გზა დატვირთულია საჯარო სერვიტუტით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N390 განკარგულებით შეთანხმდა შპს „პროპერტი ინვესტ გრუპის“ (ს/ნ. 405483285) მიმართ ქ. თბილისში ნუცუბიდის IV მ/რ-ში (ს/კ.№01.14.02.009.034) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებები, რომლის მიხედვითაც: ა) მოხდეს კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტებით 2.5 - დან 2.7 - მდე; ბ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე არ იქნას გათვალისწინებული გადამეტებულ ფართზე შენობის სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციები; ზემოაღნიშნული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული საპროექტო წინადადებით კორექტირება ეხება მხოლოდ მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტს (კ-2), რომელიც იზრდება 2,5-დან 2,7-მდე, ხდება შენობის მაქსიმალური სიმაღლისა და სართულიანობის მატება; უცვლელი რჩება ტერიტორიაზე გათვალისწინებული საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა, გეგმარებითი გადაწყვეტა. საპროექტო პარამეტრები: ფუნქციური ზონირება : საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) (7 501 კვ.მ.) ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები: მიწის ნაკვეთის ფართობი: 7 501 კვ.მ. განაშენიანების ფართობი:  $კ-1=0,5$  (1 974 კვ.მ). განაშენიანების ინტენსივობის ფართობი:  $კ-2=2,7$  (20 620 კვ.მ); გამწვანების ფართობი:  $კ-3=0,3$  (2 310 კვ.მ). შენობის მაქს. სიმაღლე - 52მ. შენობის სართულიანობა - 15 მიწისზედა; 3 მიწისქვედა. ცვლილების ინტენსივობიდან გამომდინარე, გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა არ განხორციელებულა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 17 იანვრის N01230171608წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს კომისიის წევრებმა ლილე ლიპარტელიანმა და მიხეილ კაკაურიძემ.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად თვლის „ქალაქ თბილისში, ნუცუბიდის IV მიკრორაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.02.009.032; N01.14.02.009.033) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N417 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების საკითხი (საქმე №12-032303351-03 02.02.2023წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე [www.ms.gov.ge](http://www.ms.gov.ge) რეგისტრირებული განაცხადი N0122334845-67 N01230102364-67; N01230302770-67)) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.*



8. ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო უბანში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.14.08.010.019; №01.14.08.010.021; №01.14.08.010.041; №01.14.08.010.020; №01.14.08.010.043; №01.14.08.011.048; №01.14.08.011.054; №01.14.08.011.058) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის, დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032303471-03 03.02.2023)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდელიემ ოთარ ჩიტიმემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო უბანში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.14.08.010.019; №01.14.08.010.021; №01.14.08.010.041; №01.14.08.010.020; №01.14.08.010.043; №01.14.08.011.048; №01.14.08.011.054; №01.14.08.011.058). საპროექტო ტერიტორიის ჯამური ფართობია 15 196 კვ.მ. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ფიქსირდება 6-10 კვ ძაბვის ელ.მომარაგების ქსელი, ასევე უშუალოდ საპროექტო ტერიტორიაზე საშუალო წნევის ბუნებრივი აირის მილი, აქედან გამომდინარე, აღნიშნული ინფრასტრუქტურის შეზღუდვის არეალებზე შესაბამისი სამსახურების პოზიციები წარმოდგენილ იქნეს გრგ-ს შეთანხმების ეტაპზე. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე ვრცელდება სატყეო ზონა და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1); გამწვანებული ტერიტორიების ფენით შემოთავაზებულია სატყეო ზონა. ფუნქციური დანიშნულების მიხედვით ტერიტორიის განვითარება იგეგმება სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3)-ით და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1). საპროექტო ტერიტორიაზე მოეწყობა ინდივიდუალური საცხოვრებელი უბანი. შენობის სავარაუდო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: საპროექტო ტერიტორიის ჯამური ფართობი (კვ.მ) - 15 196 კვ.მ სულ მიწის ნაკვეთების რაოდენობა (საპროექტო-სავარაუდო) - 14; სამოსახლო მიწის ნაკვეთების რაოდენობა (საპროექტო-სავარაუდო) - 11; სამშენებლო მიწის ნაკვეთების რაოდენობა -11. შენობა-ნაგებობების მაქსიმალური სიმაღლე - 12მ. შენობა-ნაგებობების მინ. და მაქს. სართულიანობა - 1-3სართული. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისთვის განკუთვნილი N13 ნაკვეთი (საპროექტო-სავარაუდო) 468.9 კვ.მ. საპროექტო ფუნქციური ზონირება სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1); რზ- 3 კ1-0.3, კ2-1.0, კ3-0.6; ტზ-1 კ1- , კ2- , კ3-0.1; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 25 იანვრის N01230253807 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 13 ოქტომბრის N01222861177 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი არ არის.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და უარყოფითი შეფასება მისცა მიხეილ კაკაურიძემ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად თვლის ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო უბანში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.14.08.010.019; №01.14.08.010.021; №01.14.08.010.041; №01.14.08.010.020; №01.14.08.010.043; №01.14.08.011.048; №01.14.08.011.054; №01.14.08.011.058) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის, დამტკიცების საკითხი (საქმე №12-032303471-03 03.02.2023წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე [www.mts.gov.ge](http://www.mts.gov.ge) რეგისტრირებული განაცხადი №01221873955-67 (№01222311203-67 ; №01222783052-67 ; №0122299500-67 ; №01223182124-67; №01223322894-67; №01223533469-67; №0123012956-67)) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

9. "ქალაქ თბილისში, სოფელ დილოში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.035.161) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-0323044112-03 -13.02.2023)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდელიემ ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელ დილოში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.035.161). მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 7800 კვ.მ-ს. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედეფიქსირდება, როგორც ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები, ასევე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. საპროექტო მიწის ნაკვეთი სამი მხრიდან გარშემორტყმულია საზოგადოებრივი სივრცეებით; „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და მცირედ ნაწილზე - სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების მიხედვით ნაკვეთზე ვრცელდება გეგმარებითი კარკასი და პერიფერიული ზონა. საპროექტო ტერიტორიას შუაზე ყოფს სს „თელასის“ საკუთრებაში არსებული 110 კვ. ელექტროგადამცემი საჰაერო ხაზი (01.01.716), რომელსაც განესაზღვრა დაცვის "ბუფერი" სს "თელასის" წერილის შესაბამისად (1011/317/22 11.10.2022). ასევე, საპროექტო მიწის ნაკვეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გაედინება "გაპ"-ს საკუთრებაში არსებული წყალსადენის მილი; არსებული გეგმარების შემზღუდავი ზონირების მიხედვით და მიმდებარე განაშენიანების შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე დაგეგმილია 2 მრავალბინიანი (A და B ბლოკი) საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. A და B ბლოკი 12 სართულიანია (1 ავტოპარკინგი და 11 საცხოვრებელი სართული) და განთავსებული იქნება ნაკვეთის დასავლეთ ნაწილში, არსებული განაშენიანების რეგულირების ლურჯი ხაზის გასწვრივ. პროექტით A და B ბლოკს -2.8 ნიშნულზე გააჩნია მიწისქვეშა ავტოსადგომი, საპროექტო ტერიტორიაზე არ გვხვდება არცერთი ღია ავტოსადგომი. მიწის ნაკვეთის სავარაუდო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: მიწის ნაკვეთის ფართობი 7800 კვ.მ; მიწის ნაკვეთების რაოდენობა (საპროექტო-სავარაუდო) – 2; შენობების რაოდენობა - 3; სართულიანობა - 12/13 და 1; საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6): კ-1 – 0.5; კ-2 –2.5; კ-3 –0.3 კვ.მ; არსებული ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1); საპროექტო ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6); ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 1 თებერვლის N0123032899 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 6 თებერვლის N01230373045 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს კომისიის წევრებმა ლილე ლიპარტელიანმა და მიხეილ კაკაურიძემ.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად თვლის ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.035.161) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების საკითხი (საქმე №12-0323044112-03 13.02.2023წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე [www.ms.gov.ge](http://www.ms.gov.ge) რეგისტრირებული განაცხადი №01222853474-67 (№01223281414-67; №01223612825-67; №01230253330-67; №01230372117-67)) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

10. ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.19.572; №81.02.13.762; №81.02.19.158; №81.02.13.835; №81.02.13.551; №81.02.19.722; №81.02.19.135; №81.02.19.571; №81.02.96.930; №81.02.97.489; №81.02.96.605; №81.02.95.072; №81.02.19.569; №81.02.19.157) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-0323044111-03 -13.02.2023)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდელიემ ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.19.572; №81.02.13.762; №81.02.19.158; №81.02.13.835; №81.02.13.551; №81.02.19.722; №81.02.19.135; №81.02.19.571; №81.02.96.930; №81.02.97.489; №81.02.96.605; №81.02.95.072; №81.02.19.569; №81.02.19.157) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. საპროექტო ტერიტორიის ჯამური ფართობია 95 524. 00 კვ.მ. აქედან რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობი შეადგენს 92 364 კვ.მ-ს, ხოლო დაურეგისტრირებელი ტერიტორიის- 3 160 კვ.მ-ს. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) და მცირედ ნაწილზე სატყეო ზონა; გამწვანებული ტერიტორიების ფენით შემოთავაზებულია სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) და სატყეო ზონა.

ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების მიხედვით ტერიტორია განთავსებულია პერიფერიულ ზონაში (პზ). საპროექტო ტერიტორია არსებული მდგომარეობით წამოადგენს უსისტემოდ გამოიწვეულ გაუნაშენიანებელ ტერიტორიას. პროექტის დაგეგმვის მიზანია ტერიტორია სამშენებლოდ განვითარდეს ქალაქგეგმარებითი მოთხოვნების შესაბამისად და შეიქმნას ახალი, მოწესრიგებული, სამშენებლო ნორმების შესაბამისად დაგეგმარებული საცხოვრებელი სახლების უბანი. საპროექტო ტერიტორიის დაგეგმარების მიზანშეწონილობა გამომდინარეობს მიმდებარე განაშენიანების ქაუტური განვითარების საპირწონედ წარმოქმნილი, მოწესრიგებული, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურით გამართული ახალი მცირე უბნის ჩამოყალიბებით. საპროექტო არეალი გადაგეგმარდება იმგვარად, რომ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორია მათი კონფიგურაციის ცვლილების ხარჯზე ფართის უცვლელად გამოყენებულ იქნება სატრანსპორტო გზის უზრუნველყოფისათვის. ფუნქციური დანიშნულების მიხედვით ტერიტორია განვითარდებასარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1). საპროექტო ტერიტორიის გამოიჯვნა იგეგმება 75 საკადასტრო ერთეულად. 73 მიწის ნაკვეთზე განთავსდება ერთი ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, 1 ნაკვეთი განკუთვნილია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისთვის და 1 ნაკვეთზე განთავსდება სკვერი. მიწის ნაკვეთის სავარაუდო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: საპროექტო არეალის ფართობი: 95 524 კვ.მ. სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ჯამური ფართი-81 612 კვ.მ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ჯამური ფართი -13 912 კვ.მ რზ- 2 კ1-0.2, კ2-, კ3-0.8; ტზ-1 კ1- , კ2- , კ3-0.1; შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე - არაუმეტეს 3 სართული. მუნიციპალიტეტისთვის გადასაცემი დაგეგმარებული ნაკვეთების რაოდენობა - 10 არსებული ფუნქციური ზონირება - სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) ზონა; სატყეო ზონა; საპროექტო ფუნქციური ზონირება - სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) ; სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 31 იანვრის N01230313676 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 31 იანვრის N0123031414 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2023 წლის 1 თებერვლის N61-01230323630 წერილის შესაბამისად, სსიპ ქონების მართვის სააგენტო, არ არის წინააღმდეგი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 81.02.19.157; 81.02.13.835; 81.02.19.158 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები და დაურეგისტრირებელ სივრცე, მოექცეს საპროექტო არეალში, მიენიჭოს შესაბამისი ფუნქციური ზონა და განვითარდეს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში 2022 წლის 20 ივლისის N01222013375-67 ელექტრონული განაცხადით წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და უარყოფითი შეფასება მისცა მიხეილ კაკაურიძემ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად თვლის ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წაგვისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.19.572; N81.02.13.762; N81.02.19.158; N81.02.13.835; N81.02.13.551; N81.02.19.722; N81.02.19.135; N81.02.19.571; N81.02.96.930; N81.02.97.489; N81.02.96.605; N81.02.95.072; N81.02.19.569; N81.02.19.157) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების საკითხი (საქმე №12-0323044111-03 13.02.2023წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე [www.ms.gov.ge](http://www.ms.gov.ge) რეგისტრირებული განაცხადი №01230234176-67) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

11. „ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქუჩა N34-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში ოქროყანის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.01.004.314; N01.18.01.002.264) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ (საკრებულოს №12-0323044104-03 -13.02.2023)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდგილემ ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქუჩა N34-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში ოქროყანის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.01.004.314; N01.18.01.002.264) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. საპროექტო არეალის ჯამური ფართობია 25 416 კვ.მ. აქედან, რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობია 25 234 კვ.მ, ხოლო, დაურეგისტრირებელი ტერიტორიის - 182 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ტერიტორიულ - სტრუქტურული ზონირების მიხედვით ტერიტორია განთავსებულია პერიფერიულ ზონაში (პზ).ტერიტორიაზე ვრცელდება მაღალი გეოლოგიური საფრთხის ზონირება. ასევე, ტერიტორიაზე ვრცელდება სეზონური მდინარის შეზღუდვის არეალი. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 12/1-1165 - 18.08.2022 წერილის საფუძველზე, საპროექტო ტერიტორიაზე მშენებლობა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მოხდება შესაბამისი ჰიდრო-ტექნიკური ნაგებობის მოწყობა და ორივე მშრალ ხევში ფორმირებული წყლის განტვირთვა მოხდება კოლექტორით ან წყალსარნით. გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე, გასათვალისწინებელია რომ ტერიტორიის პერსპექტიული განაშენიანებისას, უზვნალექიანობის პერიოდში, არსებულ ხევებში უზრუნველყოფილ უნდა იქნას წყლის ნაკადების უსაფრთხო გატარება; საკვლევი ტერიტორიის პერსპექტიული განაშენიანების პროექტის შედგენისას, დამრეცი და ციცაბო ფერდობის არეალში. საპროექტო ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ნოემბრის N590 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი. საპროექტო წინადადების მიხედვით, მიწის ნაკვეთების რაოდენობა წარმოადგენს 9 საკადასტრო ერთეულს. საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია 6

საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა. ტერიტორიის განვითარების ფარგლებში იგეგმება საბავშვო სათამაშო მოედნის მოწყობა, ამასთანავე, მოეწყობა ახალი საგზაო ინფრასტრუქტურა. განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი ფუნქციური ზონები და პარამეტრები: საპროექტო ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) - ნაკვ. (N1;2;3;4;5;8) 21 213 კვ.მ. განაშენიანების კოეფიციენტი: კ-1=0,5 განაშენიანების ინტენსიობის კოეფიციენტი: კ-2=1.5 გამწვანების კოეფიციენტი: კ-3=0,3 მაქს. სართულიანობა: 5 სართული; მაქს. სიმაღლე: 15მ; სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) - ნაკვ. 6;7;9 და დაურეგისტრირებული 4 203 კვ.მ. გამწვანების კოეფიციენტი: კ-3=0,1; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 10 იანვრის N01230102646 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 27 დეკემბრის N01223612407 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2023 წლის 7 თებერვლის N61-0123038849 წერილის შესაბამისად, სსიპ ქონების მართვის სააგენტო, არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებული 01.18.01.002.264 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი და დაურეგისტრირებული სივრცე, მოექცეს განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო არეალში, 01.18.01.002.264 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი დაკორექტირდეს ფართის უცვლელად და დაურეგისტრირებულ სივრცესთან ერთად, ტერიტორიაზე გავრცელდეს სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს კომისიის წევრებმა ლილე ლიპარტელიანმა და მიხეილ კაკაურიძემ.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად თვლის ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქუჩა N34-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში ოქროყანის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.01.004.314; N01.18.01.002.264) და მიმდებარე დაურეგისტრირებულ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების საკითხი (საქმე №12-0323044104-03 13.02.2023წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე [www.ms.gov.ge](http://www.ms.gov.ge) რეგისტრირებული განაცხადი N01223361450-67 (N01223563006-67)) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

12. ქალაქ თბილისში, გლდანის საცხოვრებელ რაიონში, საზოგადოებრივი ცენტრის ტერიტორიაზე V და VI მიკრორაიონებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.10.007.001), მრავალფუნქციური კომპლექსის (სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, ავტოპაუსი, სასტუმრო, რესტორანი) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 12 ივნისის N1205 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის

**კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032304749-03-16.12.2022)**

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდელიემ ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, გლდანის საცხოვრებელ რაიონში, საზოგადოებრივი ცენტრის ტერიტორიაზე V და VI მ/რ-ს შორის (ნაკვ.7/1); ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N55ბ, N55ა, N57-ში; ილია ვეკუას ქუჩა N50, N84-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.11.10.007.031; N01.11.10.007.038; N01.11.10.007.029; N01.11.10.007.035; N01.11.10.007.024; N01.11.10.007.039). ტერიტორია განვითარებულია შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით და მოიცავს: სავაჭრო ცენტრს (ფრესკო), მრავალფუნქციურ შენობას, რესტორანს, ავტოჰაუსს. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებითდამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკისმიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1); სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2), ასევე, გამწვანებული ტერიტორიების ფენით შემოთავაზებულია სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). საპროექტო ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის ბოლო კორექტირება განხორციელდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 თებერვლის N62 განკარგულებით. წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული საპროექტო წინადადებითN01.11.10.007.038 საკადასტრო ერთეულზე (1133 კვ.მ) იგეგმება კომერციული დანიშნულების შენობის განთავსება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით დადგენილი საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ის (სსზ-3) პარამეტრებით. აღნიშნულ არეალზე დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით გათვალისწინებული იყო ავტომობილების სავაჭრო-საგამოფენო შენობის განთავსება, რომელიც დღეის მდგომარეობით განთავსებულია განსხვავებული კონფიგურაციით. N01.11.10.007.038 საკადასტრო ერთეულისთვის დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი ფუნქციური ზონა (საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა3 (სსზ-3)) რჩება უცვლელი: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სსზ-3) – 1133 კვ.მ; სსზ-3კ1=0,7; კ2; კ3=0,1; შენობა-ნაგებობების მაქსიმალური სართულიანობა - 3 სრული სართული; შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე 15მ. ცვლილების ინტენსივობიდან გამომდინარე, გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა არ განხორციელებულა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 9 თებერვლის N0123040335 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების წინააღმდეგი. ზემო აღნიშნულის შესაბამისად, „ქალაქ თბილისში, გლდანის საცხოვრებელ რაიონში, საზოგადოებრივი ცენტრის ტერიტორიაზე V და VI მიკრორაიონებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.10.007.001), მრავალფუნქციური კომპლექსის (სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, ავტოჰაუსი, სასტუმრო, რესტორანი) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 12 ივნისის N1205 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს კომისიის წევრებმა ლილე ლიპარტელიანმა და მიხეილ კაკაურიძემ.

*შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად*

13. ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N72.16.23.160; N72.16.23.161; N72.16.23.162; N72.16.23.163; N72.16.23.164; N72.16.23.165; N72.16.23.334; N72.16.23.742) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032304745-03 -16.12.2022)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდგილემ ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N72.16.23.160; N72.16.23.161; N72.16.23.162; N72.16.23.163; N72.16.23.164; N72.16.23.165; N72.16.23.334; N72.16.23.742) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. მიწის ნაკვეთების საერთო ფართობია 7023 კვ.მ. აქედან, დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ფართობია 23 კვ.მ. საპროექტო ტერიტორიას ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრება არსებული გზა (ტერიტორიასთან მისასვლელი ძირითადი გზები). ხოლო სამხრეთ-დასავლეთით, მომიჯნავე გრგ-თი შეთანხმებული გზა, დანარჩენი მხრიდან საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები. საპროექტო ტერიტორია გაუნაშენიანებელია, ხოლო მიმდებარე ტერიტორიაზე გვხვდება ძირითადად ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებით განაშენიანება. ტერიტორია ი. კეჭაყმაძის V შესახვევით უკავშირდება ი. კეჭაყმაძის ქუჩას, რომელიც თავის მხრივ უკავშირდება ლ. კვაჭაძის ქუჩას, საიდანაც ხორციელდება სატრანსპორტო კავშირი ქალაქთან. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირებით კი ტერიტორია მდებარეობს პერიფერიულ ზონაში. საპროექტო ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N46 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი. შემოთავაზებული წინადადებით იგეგმება საპროექტო ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი ზონა 1- ის (სზ-1) შენარჩუნება და ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელება. საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია არსებული მიწის ნაკვეთების გამოიჯვნა 11 მიწის ნაკვეთად, საიდანაც სამი ნაკვეთი (A9-475კვ.მ, A10-50კვ.მ და A11-711კვ.მ) გათვალისწინებულია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისთვის და შესაბამისად, მათზე გავრცელდება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ხოლო, დარჩენილი 8 ნაკვეთი განვითარდება საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) და მათზე განთავსდება ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლები. საპროექტო წინადადებით დადგენილია უკანა ეზოები, განაშენიანების რეგულირების წითელი ხაზები და შენობათა განთავსების არეალები. ასევე, წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით ტერიტორია უზრუნველყოფილი იქნება ყველა აუცილებელი საინჟინრო ქსელებითა და კომუნიკაციებით, რაც დადასტურებულია პროექტში წარმოდგენილი



შესაბამისი უწყებების წერილებით. საპროექტო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: არსებული ფუნქციური ზონა: საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) – 7023 კვ.მ. საპროექტო ფუნქციური ზონა: საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) – 5787 კვ.მ; სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) – 1236 კვ.მ; სზ-1 კ1=0,5, კ2 =0,8, კ3=0,4; ტზ-1 კ1; კ2; კ3=0,1; შენობა-ნაგებობების მაქსიმალური სართულიანობა- 3 მიწისზედა სართული. შენობა-ნაგებობების მაქსიმალურ სიმაღლე- 15მ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 24 იანვრის N01230243580 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 30 დეკემბრის N0122364473 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2023 წლის 13 თებერვლის N61-01230443627 წერილის შესაბამისად, სსიპ ქონების მართვის სააგენტო, არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებული დაურეგისტრირებელი სივრცე (23კვ.მ) მოექცეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების საპროექტო არეალში, მისი გამოყენებით მოეწყოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, მიენიჭოს სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და ტერიტორია განვითარდეს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში 2022 წლის 23 დეკემბერს N01223571934-67 ელექტრონული განაცხადით წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N72.16.23.160; N72.16.23.161; N72.16.23.162; N72.16.23.163; N72.16.23.164; N72.16.23.165; N72.16.23.334; N72.16.23.742) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და უარყოფითი შეფასება მისცა მიხეილ კაკაურიძემ.

*შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად*

14. ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: №81.02.02.989; №81.02.99.731; №81.02.02.351; №81.02.02.987; №81.02.02.988; №81.02.02.919; №81.02.02.918; №01.81.10.291.001; №01.81.10.291.003) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032304820-03 -17.12.2022)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდგილემ ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში

